ა) ზურაბ გაიპარაშვილი - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) თამარ გიორგაძე - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე - კომისიის წევრი;

გ) თეიმურაზ ყანჩელი- -ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების გამგის (I კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი) - კომისიის წევრი;

დ) შორენა ერისთავი - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;

თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილებაში შტატგარეშე პოზიციაზე (შრომითი ხელშეკრულება) უფროსი სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესისის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თსუ ელექტრონული რესურსების განყოფილებაში შტატგარეშე პოზიციაზე (შრომითი ხელშეკრულება) უფროსი სპეციალისტის შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თსუ ელექტრონული რესურსების განყოფილებაში შტატგარეშე პოზიციაზე (შრომითი ხელშეკრულება) უფროსი სპეციალისტის კანდიდატის შერჩევა.

ბ) კომისიას მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1.კომისია კონკურსანტს დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების შტატგარეშე პოზიციაზე (შრომითი ხელშეკრულება) უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც სრულყოფილი იქნება და დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას.

2.აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3.საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას. რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების შედეგებს).
4.შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და შტატგარეშე პოზიციაზე (შრომითი ხელშეკრულება) უფროსი სპეციალისტის შერჩეულად ითვლება, ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.